ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი

უცხოეთში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანო
პარიზის კომიტეტის გამოცემა

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE. Edition géorgienne

რეული მერვე. პარიზი, ივლისი, 1931 წ. **Paris, Juillet, 1931. Cahier 8**

ახალგაზრდობა პარტიის საჭირბოროტო საკითხების შესახებ

ქართველ სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავისი ეროვნული და სოციალური იდეალების განსახორციელებლად აწარმოებს. მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოში, ბრძოლის ველზე, სადაც იგი პირველ რიგებში სდგას, თავდადებით და მორალური სიმტკიცით იცავს ქართველი მშრომელი ხალხისა და მასთან მთელი ქართველი ერის ინტერესებს.

დღეს ჩვენს ამხანაგებს საქართველოში მძიმე უღელი აწევთ, და უცხოეთში მყოფ ამხანაგთა წმინდა მოვალეობას შეადგენს მათ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ და აქ შესაძლებლობის ფარგლებში თავის მხრივ დაუღალავი ბრძოლა აწარმოონ საერთო იდეებისათვის.

ეს მოვალეობა აქ მყოფ ახალგაზრდობას სისწორით აქვს შეგნებული. გრძნობს რა თავის სულიერ ერთობას საქართველოს მებრძოლ ახალგაზრდობასთან, იგი სცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

თავისი ორგან-ციების დაარსების დღიდან ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პარტიის პოლიტიკურ მოქმედებაში და საერთოდ პარტიის ცხოვრებაში; იგი პარტიის განუყოელი ნაწილია, მასთან სისხლით-ხორცით და სულით დაკავშირებულია.

ახალგაზრდობას არ შეუძლია პარტიის გარეშე იდგეს იმ დროს, როდესაც პარტიის წინაშე სდგას მისი არსებობის საფუძვლის, მისი ორგანიზაციის. მისი მორალის საკითხები.

ახალგაზდები, როგორც პარტიის წევრები, როგორც პარტიის მომავალი კადრი, ღრმა ინტერესით და პარტიის გულწრფელი სიყვარულით სცდილობენ პარტიის წინაშე მყოფ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას ხელი შეუწყონ.

აი, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის საერთო კრება (1931 წლის ივნისის 28-ის) თავის რეზოლუციაში, რომელსაც ჩვენ აქვე ვათავსებთ, ენერგიულად აცხადებს, რომ იღებს რა პარიზის პარტიული ორგანიზაციის (აპრილის 26-ის) რეზოლუციას, იგი ყოველ ზომას იხმარს სასწრაფოდ და სავსებით ცხოვრებაში მის გასატარებლად.

ამ რეზოლუციის ერთ მუხლს, რომელიც ეხება სოციალ-დემოკრატიული აზროვნების საფუძველს, იგი ახლავე ახორციელებს. ეს მუხლი მოითხოვს აზრისა და კრიტიკის თავისუფლებას პარტიულ ორგანიზაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ჟურნალში ადგილი დაეთმობა ყველა აზრს, რომელიც ჩვენი პარტიის ფარგლებში თავსდება. აზრთა სხვადასხვაობა საერთო მიზნის საფუძველზე — ეს სისუსტისა და ჩამოქვეითების ნიშანი კი არა, არამედ სიძლიერის, ზრდისა და წინსვლის საშუალებაა. ჩვენ გვინდა სინათლე მოეფინოს ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას და ჩვენ გვაღელვებს; ეს საშუალებას მოგვცემს ჩვენი რიგები უფრო მჭიდროდ შევკრათ, ჩვენი ბრძოლის უნარი გავაძლიეროთ და ჩვენი მორალი მაღლა ავსწიოთ.

მეორე მხრივ ჩვენს წინაშე სდგას კითხვები, რომელიც განსაკუთრებით და უმთავრესად ახალგაზრდობას ეხება. ჩვენი ორგანიზაცია შეეცდება ამ კითხვების უმტკივნეულოდ გადაჭრას ხელი შეუწყოს და პარტიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით გამონახოს ისეთი ზომები, რომელიც დღევანდელი უთანხმოების მიზეზებს მოსპობს.

ჩვენი საერთო მტერი ძლიერია. ის მიმართავს ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ უსინიდისო საშუალებას, ყოველგვარ სისაძაგლეს, რომ ჩვენ წრეებში უთანხმოება ჩამოაგდოს, ჩვენი ორგანიზაციები დაასუტოს და ამგვარად, ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობას ფრთები შეაკვეცოს, რადგან მან კარგად იცის, რომ საქართველოს სოც. დემოკრატია ამ მოძრაობის მეთაური და სულისჩამდგმელია.

მტრის წინაშე ჩვენ გვმართებს სიმტკიცე და ერთსულოვანება. ამის მისაღწევად კი ჩვენ გვჭირდება მუშაობის განახლება, დამყარებული: — პიროვნების პატივისცემაზე, აზრთა თავისუფლებაზე, ღია პოლიტიკაზე, უფრო დიდ გულწრფელობაზე ჩვენს მოქმედებაში, უფრო ფართო საზოგადოებრივ კონტროლზე, უფრო დიდ პასუხისმგებლობაზე.

ჩვენი ჟურნალი ეცდება ჩვენს რიგებში ამ განახლებას ემსახუროს.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

მიღებული 1931 წ. ივნისის 28-ს სოც.-დემ. ახალგ. პარიზის ორგანიზაციის კრებაზე.

ს. დ. ახალგაზრდობის პარიზის ორგანიზაცია მიესალმება საქართველოში მებრძოლ ახალგაზრდა ამხანაგებს და მის ც.კ.-ს. უსურვებს მათ ახალგაზრდული გატაცებითა და გამძლეობით გაეგრძელებიოს შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობელების წინააღმდეგ საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის. მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთი მიზნითა და მისწრაფებით ჩვენი მათთან ერთად წარმოებული ბრძოლა თავდები არის და იქნება ჩვენი საერთო ხაზის გაუხრელობის, იდეური მთლიანობისა და იმ უტეხი სურვილისა, რომ ბრძოლის ყველა მძიმე პერიოდში ჩვენ ფიზიკურადაც მათთან ვიყოთ.

ორგანიზაციის კრება გაეცნო რა საქართველოდან მიღებულ ინფორმაციას და დადგენილებებს, რომელიც ეხება საზღვარგარეთულ მუშაობას, სთვლის მას ჩვენს ორგანიზაციებში მიღებულ დემოკრატიულ ტრადიციების ძირიან დარღვევად, რაიც შედეგია საქართველოში მომუშავე ამხანაგებისათვის არასწორი ცნობების მიწოდებისა და ამ ცნობების ავტორის მიერ თავის მისიის ცალმხრივად გამოკეთებისა.

ამით შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად პარიზის ახალგაზდების ორგანიზაცია მოითხოვს: --

1. გადადგეს ახალგაზრდების საზღვარგარეთელი დელეგაცია, როგორც არა დემოკრატიული ე. ი. არა წესიერი გზით დანიშნული.

2. დელეგგაციის ფუნქციების ასრულება მიენდოს დროებით მის თავჯდომარეს, ამხ. ხუნდაძეს. მნიშვნელოვანი საკითხების დროს მან კონტაკტი იქონიოს პარიზის, როგორც უცხოეთის მთავარ ორგანიზაციასთან, სანამ საქართველო აირჩევდეს უცხოეთის ორგანიზაციების ნდობით აღჭურვილ დელეგაციას.

3. შესდგეს დემოკრატიული და პარტიული კონტროლის სისტემით აგებული ახალი დელეგაცია. ამ მიზნით საქართველოში გადასაგზავნ და დასამტკიცებელ კანდიდატთა სიას დაიმუშავებენ უცხოეთის ორგანიზაციები, როგორც აქაური მოშაობის უკეთ მცოდნენი, რითაც საქართველოში მომუშავე ამხანაგებს გაუადვილდებათ თავიანთი ამოცანა.

4. მოხდენილ იქმნას ახალგაზრდების ორგანოს „ახალდაზრდა სოც.-დემოკრ."-ის რედაქციის რეორგანიზაცია. ეს საქმე დაეკალოს დელეგაციის ფუნქციების აღმასრულებელს და პარიზის ახალგ. კომიტეტს.

5. ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ჩვენ პარტიაში, ვნებს რა ჩვენ ეროვნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პარტიულ მუშაობას უცხოეთში და საქართველოშიც. იპყრობს ჩვენი ორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ მიზნით იგი თავის გარდაუვალ მოვალეობად სთვლის ენერგიულად იმუშაოს პარტიაში არსებული ტენდენციების შეთანხმებისა და თანამშრომლობისათვის. ამიტომ პარიზის ახ. ორგ-ცია ავალებს თავის კომიტეტს და დელეგაციის ფუნქციების აღმასრულებელს შეაგროვონ და დაამუშაონ ჩვენს ეროვნულ და პარტიულ მუშაობაზე უცხოეთში სრული და ამომწურავი მასალები, რაიც მოხსენების სახით უნდა გაეცნოს აქაურ ორგანიზაციებს და წერილობით გადაეგზავნოს საქართველოს.

6. ახალგ. სოც.-დემ. პარიზის ორგ-ცია ,სდგას რა დემოკრატიზმისა და სოციალიზმის ურყევ პრინციპებზე, სთვლის თავის აუცილებელ მოვალეობად, მტკიცე დარაჯად დაუდგეს აზრისა და ბეჭდვის თავისუფლებას და ცხოვრებაში შეუკვეცელად გატაროს ეს პრინციპი.

7. ახ. ს. დ. პარიზის ორგანიზაცია, პარტიის საკითხებში, სდგას რა ს. დ. პ. პარიზის ორგან-ციის ამა წლის აპრილის 26-ის რეზოლუციის ნიადაგზე, აცხადებს, რომ ის მთელი თავისი ენერგიით ხელს შეუწყობს ამ რეზოლუციის უკლებლივ განხორციელებას. ამისათვის ის ავალებს თავის კომიტეტს აქტიურად ჩაებას მუშაობაში და ს. დ. პ. პარიზის კომიტეტთან მჭიდრო კავშირში დაჩქარებით გაატაროს ცხოვრებაში ჩვენი ორგანიზაციების საერთო მოთხოვნილებანი.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

მიღებული პარიზის ს. დ. ორგანიზაციის მიერ 1931 წ. აპრილის 26-ს.

პარიზის ს. დ. ორგანიზაცია უძღვნის თავის მხურვალე სალამს საქართველოში მომუშავე ამხანაგებს და ჩვენს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოს, უსურვებს მათ ჯანსა და მხნეობას იმ გმირულ მოღვაწეობის გასაგრძელებლად, რომელსაც ისინი ასეთი რევოლუციონური გამძლეობით და იშვიათი თავდადებით აწარმოებენ ოკუპანტთა დიქტატურის საშინელ პირობებში ჩვენი პარტიის სასახელოდ და ჩვენი ერის საკეთილდღეოდ. პარიზის ორგანიზაციას თავის წმინდა და გარდაუვალ მოვალეობად მიაჩნია გაუწიოს მტრის ცეცხლის ქვეშ მებრძოლ ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება, რამდენადაც ეს მის შესაძლებლობაშია.

პარიზის ორგანიზაცია სიხარულით აღნიშნავს თავის იდეურ კავშირსა და ერთობას პარტიასთან, დამყარებულს შეურიგებელ ბრძოლაზე უცხო ტირანიის წინააღმდეგ და ერთსულოვან მისწრაფებაზე ოკუპაციის მოხსნისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

იღებს რა საქართველოს ს. დ. პარტიის კონფერენციის დადგენილებებს საერთო სახელმძღვანელოდ, პარტიული ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ უცხოეთში მუშაობის თავის სიმაღლეზე ასაყვანად და ყველა ძალების გასაერთიანებლად მას აუცილებლად მიაჩნია გატარებულ იქმნას შემდეგი ცვლილებანი: —

1. ბიუროს რეორგანიზაცია პარტიული გზით. ამ მიზნით პარტიის თავჯდომარე და დღევანდელი ბიუროს მიერ არჩეული ორი რწმუნებული, პარიზის ს. დ. ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთად იწვევენ სასწრაფოდ, უცხოეთში მყოფ პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებას, რომელიც შეიმუშავებს ახალ ბიუროს წევრთა კანდიდატების სიას. ეს სია გადაეგზავნება საქართველოს ს. დ. პარტიის ცეკას.

2. ბიურო თვით ირჩევს თავის პრეზიდიუმს.

3. უმრავლესობის აზრისაგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ემცნოს ჩვენს პარტიას ყოველივე იმ საშუალებით, როგორც მიღებულია ყველა სოციალისტურ პარტიაში საერთოდ: მიწერ-მოწერით, კაცის გაგზავნით და ბეჭდვით.

4. გარეშე ყოველგვარ პოლიტიკურ ხაზის სხვადასხვაობისა, ეადასინჯულ იქმნას ამხ. ირაკლი წერეთლის შესახებ უკანასკნელ პარტიულ კონფერენციის დადგენილება. ამას მოითხოვს არა მარტო დასახელებულ ამხანაგის ღირსება და ინტერესი, არამედ ღირსება და ინტერესი ჩვენი პარტიისა.

პარიზის ს. დ. ორგანიზაციის ღრმა რწმენით, ამ საკითხების პარტიის მიერ მოგვარება შემოკრებს მისი დროშის ქვეშ ყველა პარტიულ ელემენტებს უცხოეთში და მით დიდათ შეუწყობს ხელს ევროპაში პარტიის წინაშე მდგარ მნიშვნელოვან ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი „დანაშაული“

მიმდინარე წლის მაისში ბ-ნ ა. **ასათიანმა წაიკითხა** მოხსენება, რომელშიც ამტკიცებდა დემოკრატიის ნიადაგზე მყოფ ყველა ქართული პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების საჭიროებას ბოლშ.-ბის წინააღმდეგ საბრძოლველად და შემდეგ მათ ხანგრძლივ თანამშრომლობის აუცილებლობას დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად და განსამტკიცებლად.

სრულიად ბუნებრივი და ადვილი ასახსნელია რომ ამ მოხსენებამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია პარიზის ქართველობაში და მის ირგვლივ გამართული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა პოლიტიკურ მიმართულებათა წარმომადგენლებმა, ორმა კრებამაც კი ვერ ამოსწურა სავსებით.

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა აგრეთვე გვეფიქრა, რომ კამათში მონაწილეობის მიმღებნი მომხსენებელის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში დარჩებოდენ და შეეცდებოდენ დინჯი და მოფიქრებული პასუხი გაეცათ მომხსენებელის მიერ წამოყენებულ კითხვებზე. სამწუხაროდ ეს მოლოდინი არ გამართლდა; ორატორთა შორის აღმოჩნდენ ისეთებიც, რომლებმაც ბ-ნი ასათიანის საინტერესო მოხსენება გამოიყენეს სოც. დემ. პარტიის წინააღმდეგ იერიშების მისატანად და შეუფერებელი სიტყვებით მის გასალანძღავად. ეგ „სასახელო დოღი“ გახსნა კარგად ცნობილმა **მიხაკო წერეთელმა**, რომელმაც ანარქისტებიდან დაწყებული, მოიარა თითქმის ყველა ქართული პოლიტიკური პარტია (სოც. დემ. პარტიის გამოკლებით, რასაკვირველია!) და გაათავა მით, რომ ეგრედ წოდებულ თეორ-გიორგიელთა ჯგუფს დაექირავა რედაკტორად და იდეოლოგად. მას მოჰყვა ბ-ნი **ს. კედია**. პირველს არც ეს უკანასკნელი ჩამორჩა სოც. დემ. პარტიის ლანძღვა-გინებაში და უხეიროდ შეთხზულ ბრალდებათა წამოყენებაში.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია კვალდაკვალ გამოვუდგეთ მათ მიერ შეთხზულ ყველა ბრალდებას და პრესაში გადავიტანოთ მათგან წამოსროლილი ცილისწამებანი. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ „ბრალდებას“, რომელსაც განსაკუთრებით უსვამდენ ხაზს.

ამ ახირებული პატრიოტების აზრით, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის გვერდით დგომა და მასთან შეთანხმებული ბრძოლის წარმოება. ეგ პარტია შედის სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალში, უკანასკნელმა კი თავის კონგრესზე გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც გმობს უცხო სახელმწიფოების იარაღით ჩარევას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში და აცხადებს, რომ წინ აღუდგება აქეთკენ მიმართულ ყოველგვარ ცდას, მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების იურიდიულად ცნობას და სხვა.

ამ ბრალდების მთავარ დამსაბუთებელის ბ-ნ სპ. კედიას სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, თითქო სოციალისტური ინტერნაციონალი ზრუნავდეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაცვაზე, ხოლო დაპყრობილ საქართველოზე კრინტსაც კი არ სძრავდეს. ბ-ნ სპ. კედიას მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა, რაც მან აშკარად დაამტკიცა, როდესაც კატეგორიული უარით უპასუხა კრების მოთხოვნილებას, რომ მას წაეკითხა კრებისათვის ინტერნაციონალის რეზოლუციის ის ნაწილიც, რომელიც საქართველოს შეეხებოდა.

ბ-ნმა სპ. კედიამ სრულიად შეგნებულად და განზრახ კრინტი არ დასძრა იმ მრავალ დადგენილებათა შესახებ, რომელიც ინტერნაციონალის კონგრესებმა და მისი ეკზეკუტივის სხდომებმა გამოიტანეს სხვა და სხვა დროს, საზოგადოთ დაჩაგრული ერებისა და კერძოდ საქართველოს შესახებ. ყველა ამ დადგენილების აქ ჩამოთვლა და ამოწერა ძალიან შორს წაგვიყვანდა; ჩვენი ბრალმდებელის პოლიტიკური რიგიანობის დასახასიათებლად სამი-ოთხი მაგალითის აღნიშვნაც სრულიად საკმარისი იქნება.

ინტერნაციონალის სეკრეტარიატის მოხსენებაში რომელიც წარედგინა მეორე კონგრესს მარსელში, ვკითხულობთ: —

„სამოცი წელია მას შემდეგ, რაც ერთა თვითგამორკვევის უფლების სიმბოლოდ იყო პოლონეთის მოთხოვნა მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ეს დამოუკიდებლობა დღეს უკვე აღდგენილია. დღეს ჩვენ სრული თანმხობით ინტერნაციონალის **ამ პრინციპად აღვიარებთ თვითგამორკვევის უფლებას საქართველოსათვის** როგორც სიმბოლოს ყველა ერისა, რომელიც ძალადობის რეჟიმს განიცდის.“

ჰამბურგის კონგრესმა საქართველოს შესახებ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია, რომლის შინაარსი სავსებით ნათელი და კატეგორიულია: —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კონგრესი ადასტურებს მეორე ინტერნაციონალის და ვენის გაერთიანების რეზოლუციებს საქართველოს საკითხის შესახებ; **იგი მოითხოვს საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანას და ქართველი ხალხის სუვერენობის აღდგენას“.**

მეტად საგულისხმიერო და მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგენილება ინტერნაციონალის აღმასრ. კომიტეტისა, რომლის სხდომა ლუქსემბურგში გაიმართა: —

„თანახმად ჰამბურგის კონგრესის რეზოლუციისა, სოციალისტური პარტიები, მოითხოვენ რა თავიანთ მთავრობისაგან საბჭოთა მთავრობის ცნობას, **ვალდებული არიან იზრუნონ, რომ ამ აკტმა არ შეუშალოს ხელი მოლაპარაკების გაგრძელებას საქართველოში ოკუპაციის მოხსნის თაობაზე“.**

ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მკაცრი პროტესტი წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ წარმოებულ რეპრესიებისა საქართველოს აჯანყების შემდეგ თავდება შემდეგი მოწოდებით: —

„ეკზეკუტივი მოუწოდებს ყველა მის შემავალ პარტიებს მთელი ენერგიით გამოვიდენ მთელი ქვეყნის წინაშე, რათა ამ უკანასკნელთ მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის მოთხოვნილებას: — **რუსის ჯარის გაყვანა საქართველოდან. თავისუფალი რეფერენდუმი ქართველ ხალხს!“**

ბ-ნი სპ. კედია კარგად იცნობს ყველა ამ დადგენილებებს, მაგრამ იგი მაინც დანაშაულად უთვლის საქ. სოც.დემ. პარტიას ინტერნაციონალის წევრობას, იმ ინტერნაციონალის, რომლის ოდენი სამსახური არც ერთ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას არ გაუწევია კომუნისტური ჯარებით დაკავებულ საქართველოსათვის.

ჩვენ კარგად გვესმის ამ ბრალდების ფასი და თვით ბრალდებათა ნამდვილი სულისკვეთებაც; ბ-ნი სპ. კედია ვერ ინელებს სოციალდემოკრატიულ პარტიას და მისი სიძულვილით არის გაჟღენთილი; კიდევ მეტი, — მას ეჯავრება უსოციალიზმო დემოკრატიაც. მისი ასეთი ანტიდემოკრატული სულისკვეთება ბ-ნმა კედიამ სავსებით გამოააშკარავა, რორესაც მომხსენებელს უსაყვედურა შეთანხმებისა და თანამშრომლობის ერთ უდავო პირობად დემოკრატიული საქართველოს წამოყენება.

ამკარაა, რომ ბ-ნი კედიას სურვილია ქართულ პოლიტიკურმა პარტიებმა უარჰყონ დემოკრატიული პრინციპები. მაგრამ მან კარგად იცის, რომ საქ. სოც. დემ. პარტიას ჯერ არ დაუკარგავს არც თავის თავის პატივისცემა და არც ქართველი ერის სიყვარული, რომ იგი მოხიბლოს მისმა ანტიდემოკრატიულმა რაინდობამ. ბ-ნი სპ. კედია, ამიტომაც წინასწარვე აცხადებს საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას ერის მოღალატედ და მის წინააღმდეგ იარაღდება მოჭორილი ბრალდებებით და ურიგო ცილისწამებით. ამისათვის დასჭირდა მას სოციალისტური ინტერნაციონალის საქართველოს მტრად გამოცხადებაც. ვეჭობთ, რომ ვინმემ სერიოზულად დაიჯეროს ბ-ნ კედიას მიერ მოჭორილი ზღაპრები.

სოციალისტური ინტერნაციონალი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა საქართველოს საკითხს და სრული იმედია, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სოციალისტური ინტერნაციონალის დაფასება საზოგადოთ ბოლშევიზმის და ბოლშევიკური საფრთხის სავსებით სწორი და შეუცდომელი იყოს. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ამ დაფასებამ ძალიან დიდი ევოლუცია განიცადა უკეთესობისაკენ და ამაში, თუ პირველი არა, ყოველ შემთხვევაში არა უკანასკნელი როლი ითამაშა მან, ვინც საქართველ. სოც. დემოკ. პარტიას ხანგრძლივად წარმოადგენდა სოციალისტურ ინტერნაციონალში. სწორედ ირ. წერეთელი იყო, რომ გაბედულად და გადაჭრით ილაშქრებდა ინტერნაციონალის ზოგიერთ წევრების ბოლშევიზანობის წინააღმდეგ და ამან საგრძნობი ნაყოფიც გამოიღო.

რა აზრისაც არ უნდა იყოს ბ-ნი სპ. კედია, ჩვენ არ გვეთაკილება სოციალისტური ინტერნაციონალის წევრობა და ვერც ერთი გულწრფელი პატრიოტი — თუნდაც არა სოციალისტი — ჩვენ ამას ვერ გვისაყვედურებს. თუ კი ვინმეს რაიმე საყვედური ეთქმის ჩვენი პარტიის მიმართ, ეს არა იმისთვის, რომ ის ინტერნაციონალის წევრია, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი პარტიის გავლენა ინტერნაციონალში ამჟამად ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ეს, რა თქმა უნდა ნაკლია, მაგრამ არც ამ ნაკლის გამოსწორება წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

ჩვენი პარტია ყოველივეს იღონებს კვლავ გააძლიეროს თავისი პოზიციები ინტერნაციონალში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზარდოს თავისი გავლენა ქართველი ერის სასიკეთოდ და სასარგებლოდ.

ამ საქმის ბოგვარებაში საქართველოს ახალგაზრდა სოც. დემ. ორგანიზაციები, როგორც ყოველთვის, გვერდში ედგომებათ უფროს ამხანაგებს.

ბ. ა.

ჩვენი ქვეყნის

ფოტო-სურათები

1929-1930 წ.*)

1

აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმე.

ქალაქებში მუშა-მოსამსახურეთა პრივილეგიური ნაწილის ბავშები, საბავშო ბაგებში და საბავშო სახლებში იზრდებიან; ეს იმიტომ რომ ცოლი და ქმარიც — ორივე მუშაობს. მოსამსახურის ყოლის ხანა კარგა ხანია გაქრა. ოჯახში მოსამსახურეც პროფკავშირის წევრია და დაზღვეული უნდა იყოს. ის იმუშავებს 8 საათს, კვირაში ერთი დღე დასვენება და წელიწადში ერთი თვე შვებულება ეკუთვნის, რამდენი ზიანის და უკმაყოფილების მოტანა შეუძლია ოჯახში მოსამსახურეს — ვინ ჩამოთვლის.! ამიტომ მშობლები ექვსი თვის ბავშს ბაგებში აძლევენ, შემდეგ საბავშო ბაღებში. ბაგებში და საბავშო ბაღებში აღმზრდელები ჯერ კიდევ ძველი ტიპის ხალხია: — ძველი მასწავლებლები და ძველი პანსიონერები, რომელთაც ხელისუფლება მოზრდილებს არ აკარებს და ასეთი კადრი აღმზრდელებისა ორივე მხარესათვის არის სასარგებლო: — მშობლები დამშვიდებული არიან, რომ ბავში საიმედო პირთან არის, ხელისუფლებაც უზრუნველყოფილია, რომ ამ დარგში გენერალური ხაზის გამრუდება და „კონტრ-რევოლუციური" ამბები არ მოხდება.

აქ ბავში ხუთ-ექვს წლამდეა. მეცადინობა კომპლექსიური მეთოდით სწარმოებს — ერთი და იგივე მასწავლებელი ვაჟების და ქალების განსაზღვრულ ჯგუფს ასწავლის: — სიმღერას, ხატვას, ლექსებს, ცეკვას, დათვლას, ტანთვარჯიშობას. ბავშებს მორცხობა და შიში ეკარგება. ზღაპრების მოყოლა აკრძალულია სასტიკად, აკრძალულია აგრეთვე რელიგიურ კულტებზე და სექტებზე საუბარი. ლექსები ლენინზე, კომპარტიაზე, წითელ არმიაზე და სტალინზე არის აგებული.

ყოველ წლობით, ოქტომბრიდან აპრილამდე, ს. ს. რ. კ.-ას ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ ილტვის ბოლშევიზმის პირმშო შვილი „პაცანები". პაცანების კანი მჭვარტლითა და მაზუთით არის გაჟღენთილი. პაცანები არ შეიძლება ველურებს დავამზგავსოთ, რადგან ყოველმა მათგანმა რკინისგზის მიმოსვლის და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა წესი, ამ დარგების სპეციალისტებზე უფრო კარგად იცის. ზამთარში მთელი ამიერკავკასია ივსება შავი, უპატრონო ბავშებით 3—12 წლის ჰასაკამდე. ეს ბავშები ღამეს სანაგვე ყუთებში, ხიდეთა და ბოგების ქვეშ ათევენ; ჭამა-სმაზე მთავრობას არ აწუხებენ. მათ თავისებური ჟარგონი აქვთ და საჭმელს მეექვსე ერძნობით პოულობენ. ამ ბავშების აღზრდა, ისე როგორც ჩვეულებრივ ბავშებს ზრდიან, არ ხერხდება, ისინი არც თავშესაფარში და არც ციხეებში ჩერდებიან. ყოველი პაცანი იდეალური ტიპია კრიმინალისა.

სასწავლებლები ამ მცირე ხნის განმავლობაში რამოდენჯერმე გადაკეთდა. ეხლა შრომის სკოლები და ტეხნიკუმებია. ტეხნიკუმების სპეციალიზაცია არის: — აგრონომიული ტეხნიკუმი, ინდუსტრიალური, ქიმიური, პედაგოგიური და ასე. მეცადინობა ლაბარატორული მეთოდით სწარმოებს, და ყურადღება ექცევა პრაქტიკულ ცოდნის შეძენას.

შრომის სკოლებში კი მეცადინობა კომპლექსური მეთოდით სწარმოებს. კომპლექსური და ლაბარატორული მეთოდი პედაგოგიის უკანასკნელი სიტყვაა, ხოლო მასწავლებელთა კადრების მოუმზადებლობისა და სახელმძღვანელოების შეზღუდვის გამო, ამ შესანიშნავ მეთოდს ეკარგება მნიშვნელობა. რუსული ენა საშუალო სასწავლებლებში თითქმის ისეა სავალდებულო როგორც გერმანული ან ფრანგული, საშუალოზე დაბალ სასწავლებელში რუსული ენა ზოგჯერ სავალდებულოც არ არის. ეხლანდელმა აბიტურიენტებმა რუსულის კითხვა ხეირიანად არ იციან; რაც შეეხება ლაპარაკსა

*) წაკითხულ იქნა მოხსენების სახით პარიზის ახ. სოც. დემ. ორგანიზაციის 19 ივლისის კრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლწერას რუსულ ენაზე — უმაღლეს სწავლა-დამთავრებულებიც უკაცრავად არიან. ალბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უმაღლეს სასწავლებლებიდან კომკავშირელებიც კი, — ნაციონალისტები გამოდიან. ყოველ სასწავლებელში: — ოკტომბრელების, პიონერების და კომკავშირების კოლეკტივები და ორგანიზაციებია, სადაც სწარმოებს „ოფიციალურ“ ახალგაზრდობის საბჭოთა საზოგადოებრივი მუშაობა.

არაოფიციალური ახალგაზრდობის ზრდა და განვითარება საბჭოთა ქვეყანაში შემდეგ-ნაირად ყალიბდება; რადგან ისინი კომსომოლელი და კომუნისტები არ არიან, მათ უხდებათ აუარებელი ენერგიის ხარჯვა არსებობისათვის; არაოფიციალური ახალგაზრდა ხალოვანდება სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში; იცის ზედმიწევნით თავისი პროფესია, რომლის იქით მან არაფერი იცის და არც სურვილი აქვს გაიგოს. მისი ალფა და ომეგა მისი დარგია; ამავე დროს იგი დიდი პატრიოტია სამშობლოსი, შრომის, სამართლიანობის; ყოველ პრობლემისადმი მისი მიდგომა და გამოსავალი — ეკონომიური აზრია.

ეს ახალი კაცი სულ არ წააგავს მის წინაპრებს; ის იდეალისტი და წარსულ ისტორიის სიმდიდრით ამაყი არ არის. ეს ახალი კაცი არც კომუნისტებს ჰგავს; მას კომუნიზმი ისე ეზარება, როგორც საწამლავი, შხამი.

ამ ახალ კაცში იოტის-ოდენა დილეტანტიზმი და ენციკლოპედიზმი არ არის; ის სიამოვნებით მოუსმენს ტლანქ და უხეშ სპეციალისტს, ვიდრე ყველაფრის მცოდნეს.

მიხ. ნიკოლაიშვილი

(გაგრძელება იქნება)

გ ი ო რ გ ი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი

ჩვენი ჟურნალის ეს მორიგი ნომერი პირველია მას შემდეგ, რაც პარიზის ქართველობამ მეტად სამწუხარო ამბავი მიიღო თავისი მრავალ-ტანჯულ სამშობლოდან. მიმდინარე წლის მარტის 15-ს ტფილისში გარდაცვლილა დიდი პატრიოტი, ცნობილი პუბლიცისტი და გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი. განსვენებული იყო ლიდერი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის და მის მთავარ კომიტეტს თავჯდომარეობდა დღიდან პარტიის დაარსებისა უკანასკნელ დღემდე.

სტუდენტობის დროიდან რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმული გიორგი ლასხიშვილი სამაგალითო სიმედგრით იბრძოდა ქართველი ერის სუვერენობისათვის, რისთვისაც ძველი რუსეთის მეფის მთავრობამ რამოდენჯერმე აგემა ციხე და გადასახლება. დადგა 1917 წელი. მეფის რუსეთი რევოლუციამ დაანგრია და დაჩაგრულ ერებს გზა გაუხსნა თავისუფლებისაკენ. მკვდრეთით აღსდგა ქართველი ერიც და 1918 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა.



განსვენებულს წილად ხვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის წევრი გამხდარიყო (მას ჩაბარდა განათლების სამინისტრო). მაგრამ გიორგის ბედნიერებას ფრთები შეაჭრა მოსკოვის ურდოების საქართველოში შემოჭრამ.

ფიზიკურად დაღლილ-დაუძლურებული, თვალთ სინათლეს მოკლებული დიდი მამულიშვილი ვერც ამან გასტეხა სულიერად, და ჭაბუკურის გატაცებით ახალ ბრძოლაში ჩაება. ფუჭი აღმოჩნდა მოსკოვის ტფილისელ აგენტების ცდა გაეტეხათ გამოცდილი მებრძოლის ნებისყოფა. მეფის ციხეებს კარგად გაცნობილ გიორგის ვერც ახალ ბატონთა წამების სარდაფებმა მოუკლეს ბრძოლის ჟინი და იგი უკანასკნელ წუთამდე განაგრძობდა თავისი ქვეყნის სადარაჯოზე დგომას.

ულმობელმა სიკვდილმა მას არ დააცალა მოსწრებოდა საქართველოს დღევანდელი ჯალათების მოახლოვებულ აღსასრულს, მაგრამ მადლიერი ერი არასოდეს დაივიწყებს მის დაუფასებელ ღვაწლს და დიდ ქართველთა სასახელო თაიგულში მასაც მიუჩენს შესაფერ ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოც. ფედერალისტთა პარტიას, რომელმაც გიორგის სახით დაკარგა ბრძოლებში გამოცდილი თავისი ხელმძღვანელი, გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ახალგაზდა სოც დემ. პარიზის ორგანიზაცია და „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია.

მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

3. ერი*)

მარქსისტული თვალსაზრისით, როგორც ამბობს ცნობილი მარქსისტი თეორეტიკოსი პროფესსორი კუნოვი, — ყოველგვარი საზოგადოებრივი შენობა, — ერი, ხალხი, ეკლესია, ოჯახი და აგრეთვე სახელმწიფო, — „საზოგადოებანი კი არ არიან, არამედ განვითარების პროცესიდან გამოსული ერთობა, ცხოვრების ერთობის კომპლექსები, რომელნიც თავის მხრივ თავიანთ შორის სულ სხვადასხვა შეიძლება იყონ, და სხვადასხვა საფუძველზე ემყარებოდენ. მაგალითად, ძველი ოჯახური კავშირი, ჯალაბი და გვარი ემყარებოდა სისხლის ერთობაზე, ნათესაურ დამოკიდებულებაზე; ტერიტორიალური ერთობანი კი, როგორც მაგალითად, მარკგენოსენშაფტი, განსაზღვრული მიწა-წყლის საერთო მფლობელობაზე; და ხელობის ერთობა — ერთსა და იმავე ხელობაზე: კლასი — ერთსა და იმავე მდგომარეობაზე საზოგადოებრივი წარმოების მექანიზმში. ერთი ასეთი ერთობა არის ერიც.

არც მარქსსა და არც ენგელსს ერისა და ეროვნების არსის განმარტება არ მოუცია, თუმცა მათ ამ საკითხებთან საქმე ჰქონიათ და ზოგიერთი მოსაზრებანიც გამოუთქვამთ.

ეროვნული საკითხის თეორიული დამასაბუთებელი გახლდა ცნობილი ავსტრიელი მარქსისტი ოტტო ბაუერი. მისი აზრით, ერის შექმნის და გამოჩენის საფუძველი არის ერთგვარი „ბუნების ერთობა“, ერთობა სისხლისა და წარმოშობისა განსაზღვრულ გეოგრაფიულ საცხოვრებელ ადგილზე, სადაც ერთსა და იმავე საცხოვრებელი პირობებისა და ბედის ვითარებათა შედეგად ნელ-ნელ ვითარდება ერთგვარი ბედისა და კულტურის ერთობა. ამის მიხედვით, ოტტო ბაუერი განმარტავს ერს, როგორც ბედის ერთობიდან გამომდინარე ხასიათის ერთობას. ეროვნული ხასიათი არის განსაზღვრული ისტორიული ნალექი. ერი ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ხასიათში, ინდივიდუმის ეროვნობაში.

ისტორიული ბედი თანდათანობით ამგვარ ხასიათის ერთობებს ერთად ადუღებს, ჰქმნის ეს აგრეთვე ნაციონალურ მთლიანობის გრძნობას, ეროვნულ გრძნობას, რომლის მატარებელი ისტორიის სხვა და სხვა საფეხურზე სხვა და სხვა წოდება და კლასია.

ხასიათის ერთობა არ ნიშნავს იმას, რომ ერის ყველა წევრს ერთი და იგივე ხასიათის ნიშნები საერთო აქვთ, ერთსა და იმავე განათლების სიმაღლეზე სდგანან, ერთნაირი მიდრეკილებანი, თავისებურებანი, უპირატესობანი და ნაკლი აქვთ და სხ.

ყველა ეს თავისებურება არა მარტო ერის ცალ-ცალკე ჯგუფებში და ფენებში სხვა და სხვაა, არამედ პიროვნებებშიც სხვა და სხვაა. მაგრამ საქმე ამას არ ეხება. საქმე ისაა, თუ ასეთი ნაწილობრივი სხვა და სხვაობის მიუხედავათ, არსებობენ განსაზღვრულ საერთო ხასიათის თავისებურებანი, რომელნიც ერს, როგორც თავისებურებას, როგორც სხვა ეროვნულ ერთობისაგან განრჩეულს გვიჩვენებენ. საქმე ისაა, თუ ასეთი თავისებურებანი ისე ძლიერი არიან, რომ ისინი ერის წევრების მიერ იგრძნობებიან, როგორც რაღაც საერთო, მათი შემაკავშირებელი, და ეს ანსხვავებს მათ უცხო ერთა წევრებისაგან. რასაკვირველია, ენა არის უძლიერესი საშუალება, რომელიც ერის წევრებს აერთებს. მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან იგი, ენა, არის ის, რის შემწეობითაც თვითეული თავისი ერის კულტურას ეზიარება. მაგრამ ერი არ არის მარტო ენის ერთობა. ეროვნების ერთობასთან ერთად, არსებობენ სხვა ერთობიც, მათი განსაკუთრებული მიდრეკილებებით და ინტერესებით; და ესენი ავსებენ, აძლიერებენ, ადამბლებენ ან აჯვარედინებენ ერის ცხოვრების მიდრეკილებებს. ადამიანი არის მარტო ერის წევრი, არამედ იგია ამავე დროს წევრი რასისა, სარწმუნოების ერთობისა, კლასისა, სახელმწიფოსი და სხ. და მისი კავშირი ამაებთან მრავალგვარად გავლენას

---

*) გაგრძელება. იხილეთ „ახალგაზდა სოც“. რვეული მეექვსე. დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ იხილეთ პროფ. კუნოვის შრომა: —

Die Marxsche Geschichts-, Gesellschafts- und Staatstheorie. Band II. Berlin, 1923.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდენს მის ერთად ცხოვრებაზე თავისი ერის სხვა წევრებთან, და მის ეროვნულ თვითშეგნებაზე.

კლასებისა და ერის შორის დამოკიდებულების საკითხი, კერძოდ კი მუშათა კლასის დამოკიდებულება ერისადმი, ეროვნულ საკითხისადმი ომამდე, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, მეტად პრიმიტიულად იყო გაგებული. ეროვნული საკითხი და ეროვნული გრძნობა გამოცხადებული იყო ბურჟუაზიულ მოვლენად; ამტკიცებდენ, რომ მაგალითად, ომის შემთხვევაში, ბურჟუაზია ვერ შესძლებს თავისი ნაციონალური გრძნობით იმოქმედოს მუშათა კლასზე, ვერ შესძლებს გაუქარწყლოს მას კლასობრივი თვითშეგნების სიძლიერე, და ერთი ერის მუშები მეორე ერის მუშებს გვერდში ამოუდგებიანო.

„ნოიე ცაიტ"-ში ,ეროვნებათა ბრძოლის შესახებ ავსტრო-უნგრეთში, კარლ კაუცკი სწერდა: —

„სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარებს ეს ბრძოლა არ შეეხება", ანუ: „ეროვნული წინააღმდეგობანი პროლეტარიატში ადგილს არ საჭიროებენ"-ო.

კაუცკის აზრით, მუშათა კლასის ინტერნაციონალიზმი მსოფლიო ომის წინააღმდეგ დასაყრდენი საძირკველიაო. მაგრამ უკვე მსოფლიო ომის წინ ეროვნებათა ბრძოლამ ისეთი სახე მიიღო, რომ კაუცკის ძველი შეხედულება არ გამართლდა. იმის მაგივრად რომ მუშათა შორის „ინტერნაციონალიზმი" დამკვიდრებულიყო,, მუშებს ეროვნული გრძნობის ცეცხლი მოედო, განსაკუთრებით ირლანდიაში, სადაც ახლა ფეხადგმული სოციალისტური მუშათა მოძრაობა სინ-ფეინიზმს მიეკედლა; ამას გარდა, ავსტრო-უნგრეთში, სადაც ეროვნული ბრძოლა სოციალისტური პარტიის გერმანულ და ჩეხურ ჯგუფთა შორს იქამდე გამწვავდა რომ 1911 წელში, ჩეხური სოციალისტური ნაწილი გამოეყო პარტიას და დაბოლოს, პოლონური ჯგუფიც ცალკე წავიდა. ის მტკიცება, რომ ავსტრო-უნგრეთის სოციალისტურ მუშებს ეროვნული ბრძოლა სრულებით არ შეეხებაო, გამოცდილებით მართლაც სრულებით უარყოფილ იქმნა. და ასეთივე ბედი ეწვია 1914 წ. იმ წინასწარმეტყველებას, რომ ომის ამოხეთქის დროს მებრძოლ ქვეყნების მუშათა ფენები ერთსულოვნად თავს იგრძნობენ და ბურჟუაზიის ნაციონალიზმის წინააღმდეგ ფრონტს გააკეთებენო..

როდესაც 1914 წ. ომი დაიწყო, დაემხო არა ეროვნული თვითშეგნება, არამედ სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალის „საერთაშორისო ერთსულოვანება" და ყალბი წარმოდგენა ეროვნულ გრძნობაზე. ცხადათ გამოჩნდა, რომ ეროვნული გრძნობა მეტად რთული რამ ყოფილა, ვინემ ეს ზოგიერთ თეორეტიკოსს და მომუშავეს თავის სამეცადინო ოთახში წარმოედგინა.

ეხლაც დარჩენ ისეთი თეორეტიკოსები, რომელნიც ძველებურად განაგრძობენ, ხოლო იმას ამბობენ, რომ სოციალისტი მუშები არ არიან ჯერ მომწიფებულნი ეროვნული გრძნობა მოშალონ და საერთაშორისო კლასთა სოლიდარობა სავსებით განახორციელონო. და როგორც ომის წინ ეხლაც კი მარქსს ემყარებიან, თუმცა მარქსს (და უფრო ნაკლებად ენგელსს) არასოდეს არ წამოუყენებიათ ის მტკიცება, რომ კლასობრივი შეგნება ეროვნულს უარყოფდეს, თითქო კლასობრივად შეგნებულ სოციალისტ მუშას ამის გამო არა ჰქონდეს ეროვნული გრძნობა და თითქო თავისი ერის ბრძოლა მას არ „შეეხებოდეს".

ხშირად ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ეკონომიური, სარწმუნოებრივი მოტივები ერთი მეორეს ეხებიან, ერთი მეორეს ეთანხმებიან ან ეჯვარადინებიან. განსაკუთრებით მჭიდრო ცვალებადობითი დამოკიდებულება არსებობს ერსა და რასას, კლასებსა და სახელმწიფო ერთობათა შორის. სადაც ერი ამავე დროს ერთს მის მეზობელ ერიდან განსხვავებულ რასის ერთობას წარმოადგენს, რასაკვირველია, იქ საკუთარი ერთიანობის გრძნობა და სხვა ეროვნებათა მიმართ წინააღმდეგობა გამაგრდება; პირიქით, იქ,სადაც განვითარების მსვლელობაში, უცხო შემადგენელი ნაწილები თქვენ საკუთარ ერს უერთდება, მაგრამ მისგან სრულოვნებით ამოწურული არ ხდებიან, იქ ერთიანობის გრძნობა სუსტდება.

ასეთივე გავლენა აქვს ხელობის ერთობას. მაგალ. გერმანელი გლეხი და დენმარკელი გლეხი ზოგიერთ კულტურულ დამოკიდებულებაში ერთი მეორესთან უფრო ახლო სდგას, ვინემ შლეზვიგელი გლეხი და ჟურნალისტი ან ბერლინელი ხელოვანი. იგივე ითქმის კლასთა ერთობაზე და კლასთა გრძნობაზე ანუ კლასთა თვითშეგნებაზე.

იმ ერში, რომელშიც კლასთა ფენები ღრმად მიდის და კლასთა წინააღმდეგობანი მკაცრად გამოხატული არიან, იქ, რასაკვირველია, სხვა და სხვა ერთა შეჯახების დროს, შესაძლებელია რომელიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის ერთი ან მეორე კლასი — განსაკუთრებით ეს მოსალოდნელია, თუ ასეთი კლასი დაჩაგრულია და ეროვნულ ცხოვრებაში მცირე წილი უძევს, — მეორე ერის ამდაგვარივე კლასთან ისე ფრიად სოლიდარულად გრძნობდეს თავს, რომ მან საკუთარი ერის წინააღმდეგაც კი პოზიცია დაიკავოს. რასაკვირველია ეს შესაძლებელია, მაგრამ აუცილებელი კი არ უნდა იქნეს. ეს კლასთა თვითშეგნების უბრალო შედეგი არ არის არამედ დამოკიდებულია ნაციონალური კავშირის სიმტკიცეზე, კლასთა წინააღმდეგობის შექმნაზე, ერში კლასთა ბრძოლის სიმწვავეზე, საკუთარი და უცხო კლასის მდგომარეობის ერთიგივეობაზე და აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ კლასთა ინტერესების სიძლიერეზე. ასეთი შემთხვევა არის, როდესაც ერთი ერი მეორესაგან ძალით დაჩაგრულია, მის განვითარებაში შეფერხებულია და მას, როგორც დამონებულს ისე ეპყრობიან; მაშასადამე, დაჩაგრული ერი გაბატონებულ ერისადმი ღებულობს ერთგვარად დაჩაგრული კლასის მდგომარეობას გაბატონებულ კლასისადმი.

დიდი ომის წინ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში ამტკიცებდენ, რომ ბურჟუაზიულ ფენების ეროვნული გრძნობა კლასობრივად შეგნებულ მუშაზე ძლივს თუ მოახდენს გავლენასო. გერმანელ მუშაში გაბატონებულია კლასის თვითშეგნება და ყოველგვარ ეროვნულ ჩარჩოთა მიუხედავათ ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ მუშაში თავის ძმას ხედავს და ეს მას აამოძრავებს მომავალ ომში, იგი მეორე ერის მუშის წინააღმდეგ არ წავაო

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ — (თქვენი განთავისუფლების მისაღწევად) — ეს მოწოდება სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქო მარქსს ამით იმის თქმა უნდოდა, მუშები ეროვნულ ჩარჩოს გარეშე დარჩნენო; „ჟურნალისტებო, ექიმებო, ფილოლოგებო და სხ. შეერთდით საერთაშორისო კავშირში თქვენი მიზნების მისაღწევად“ — ესეც არ ამბობს იმას, თითქო ეს ხალხი თავის ეროვნებას უნდა მოსწყდენო. ფაქტია: როდესაც აარსებდენ საერთაშორისო მუშათა ასოციაციას, ფრანგებმა წამოაყენეს მოთხოვნილება მუშათა „ენტნაციონალიზაციის“ შესახებ (ეროვნული სახის წაშლა).მარქსმა თავის მხრივ დასცინა მათ და წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ სხდომის შესახებ იგი თვითონ სწერს ფრ. ენგელს 1866 წ. ივლისის 20-ს: — „სხვათა შორის წინ წამოდგენ„ ახალგაზრდა საფრანგეთის“ წარმომადგენელნი (არა მუშები) იმისი მტკიცებით, რომ ყველა ეროვნება და თვით ერები არიან დამყაყებული ცრუ წარმოდგენაო. ინგლისელებმა ბევრი იცინეს, როდესაც მე ჩემი სიტყვა იმით დავიწყე, რომ ჩვენი მეგობარი ლაფარგი და სხ., რომელთაც ეროვნება მოსპეს, ჩვენ „ფრანგულად“ ესე იგი იმ ენით გველაპარაკებიან, რომელიც კრების ერთ მეათედს არ ესმის. შემდეგ აღვნიშნე, ალბათ მათთვის ეროვნებათა მოსპობა ნიშნავს სხვა ერების ფრანგულ სანიმუშო ერში გათქვეფას-თქო“...

მაგრამ მარქსს ხომ აქვს ნათქვამი „კომუნისტურ მანიფესტში“: — „მუშებს არ აქვთ სამშობლო“-ო! მართალია ეს არის ნათქვამი, მაგრამ ეს წინადადება უკავშირდება ქვემორე წინადადებას, და ამით იგი სრულიად წინააღმდეგს ამბობს იმისას, რასაც ხშირად მასში ჰკითხულობენ. ქვემოდ კი სწერია, — რომ მუშათა კლასმა თავისი თავი ეროვნულ კლასამდე უნდა აიყვანოს, თვით გახდეს ეროვნულიო.

რას ნიშნავს ეს? — მუშათა კლასმა თავისი თავი ეროვნულ კლასამდე აიყვანოს, თვით გახდეს ეროვნულიო? მარქს უნდა სთქვას შემდეგი: — დღეს (1848 წელს) მუშას არა აქვს სამშობლო, რადგან მას არა აქვს საკუთარი წილი ერის ცხოვრებაში, იგი არის ერის ნივთიერი და სულიერი დოვლათისაგან გარიყული. მაგრამ მუშები მიაღწევენ ერთ დროს პოლიტიკურ ძალაუფლებას, და გადამწყვეტ მდგომარეობას სახელმწიფოში და ერში დაიკავებენ, და მაშინ, როდესაც ისინი ამგვარად ეროვნულ კლასამდე ავლენ, გახდებიან აგრეთვე ეროვნული. მუშებს ეხლა (1848 წ.) არა აქვთ სამშობლო, რადგან მათ ჯერ კიდევ არა აქვთ დასახელების ღირსი წილი ეროვნულ ცხოვრებაში; როგორც კი ამ წილს მიაღწევენ, ისინი გახდებიან, უფრო მეტი, ეროვნული განვითარების მატარებელი; მაშინ მათ აქვთ კიდეც სამშობლო, რადგან მათი დამოკიდებულება ერი სადმი იმაზეა მიმართული, თუ მათ თვითონ რა მდგომარეობა აქვთ ერში.

გერმანულ სოციალდემოკრატიაში აქამდე გაბატონებული შეხედულება, თითქო მუშათა კლასს ეროვნებაზე და ეროვნულ თავისებურებაზე არავითარი ინტერესი არ ჰქონდეს და ამიტომ მისი ეროვნული გრძნობა, თუ ასეთი საერთოდ კი არსებობს, არასოდეს კლასობრივ გრძნობას არ გადაეღობებაო, მარქსისტული ეროვნული აზრის განვითარების შემეცნებას სრულიად ეწინააღმდეგება. ომის წინ თუ რამდენათ მოდებული იყო ეს აზრი, გვიჩვენებს ოტტო ბაუერი, რომელიც სწერდა: — „კლასთა ბრძოლის აუცილებლობა ყველა ერსა ჰპობს: მუშათა ეკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიური ინტერესები და ქონებრივ კლასთა ინტერესები თვითეულ ერში ერთი მეორეს მოწინააღმდეგენი არიან. პირიქით კი, თვითეული ერის მუშების ინტერესები ყველა დანარჩენ ერის მუშათა ინტერესებთან ერთდებიანო". იმ მოვლენიდან, რომ უწინ მუშები ეროვნულ საკითხისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენდენ, იმას კი არ ასკვნის, რომ მათი ეროვნული შეგნება აწი გაიზრდება და გაძლიერდებაო, არამედ იმას, რომ თუ ეხლა არ აქვთ, არც აწი ექნებათო.

მსოფლიო ომმა და მის შედეგად თითქმის ყველა ქვეყანაში და აგრეთვე იქაურ მუშებში წინწამოწეულმა ეროვნულმა მისწრაფებამ ეს მტკიცება ისე საფუძვლიანად გაანადგურა, რომ ზედმეტია ამის გამო კიდევ ლაპარაკი.

ბ. ვარდანი

შენიშვნები უცხოეთის ამბებზე

ისპანეთის რევოლუცია. სამი ამოცანა ამ რევოლუციის. მსოფლიო კრიზისი. გერმანია და ერთა სოლიდარობა.

ბურბონების მოდგმა მეფედ აღარსად ვარგაო, ამბობდენ, როცა ისპანეთის რევოლუციამ, აჯანყებაში დამარცხებულმა, კენჭის ყრით გაიმარჯვა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მეფე საერთოდ არსად ვარგა, გარდა არქივისა. მაგრამ ისპანიის რევოლუციის პრობლემა ამაში არ მდგომარეობს. აქ ტახტს სახელი გაუტეხა საზოგადოების ყველა წრეებში, გარდა მემამულეებისა, დიქტატურის შემოღებამ, და დიქტატურის დაცემას ბუნებრივად მოჰყვა მისი გამომწვევის — ტახტის დანგრევა. ალფონსი მე-13 თავაზიანად გამოემშვიდობა თავაზიან ისპანელთ და საზღვარი გადაიარა, რომელსაც ვერასოდეს გადააბიჯებს.

ასე გაიხსნა რევოლუციის ეპოქა, მხოლოდ გაიხსნა: რევოლუცია მარტო მეფის ჩამომგდები კი არ არის, არამედ ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დარღვევა და ახალის აგება, ძველი კალაპოტის მოშლა და ახალში ჩადგომა. და ორივე ეს, ისპანიას, ჯერ კიდევ შესასრულებელი აქვს.

აქ ძევს ორი პრობლემა: — ერთი — ფეოდალურ ხანიდან დარჩენილი მიწათ-მფლობელობის გაუქმება და გლეხობის მემამულეთა მძიმე ხუნდებიდან განთავისუფლება, რაც დროულია და მაშასადამე განსახორციელებელი; მეორე — იქ იბადება მუშათა და დამქირავებელთა საკითხი, რომელიც შეიძლება ევროპის მოწინავე სახელმწიფოებისათვის მომწიფდა საბოლოო გადასაჭრელად, მაგრამ შედარებით ჩამორჩენილ ისპანიისათვის ჯერ ნაადრევია. ხოლო რევოლუცია კი ორთავე ამ საკითხს სვამს. ან უკეთ, ორივეს სვამს ძველი მუხრუჭებიდან განთავისუფლებული კლასები და მათი ინტერესები.

ამას თუ დავუმატებთ მესამეს: პროვინციალიზმს და ზოგიერთ კუთხეების სეპარატისტულ მისწრაფებას — მთელი სიძნელენი ისპანიის რევოლუციისა თვალ-წინ გვექნება.

ყველა ამას უნდა მოუაროს მან. და სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა ამ საკითხების გადაჭრაში, მისი გავლენა მთავრობაში და ხალხში ერთი იმედთაგანია ამ მხრივ.

როგორც ვიცით, რუსეთის რევოლუციასაც ეს საკითხები უდგა, მაგრამ მან ეს მაქსიმალურად გადასწყვიტა და რეაქციონურად განახორციელა. ისპანია ამ გზაზე შედგომას არ აპირებს. უკიდურესობა ყოველთვის და შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში, არ არის ნამდვილი რევოლუციონერობა. პირიქით, რევოლუციონური ენერგიის მიმართვა განსახორციელებელ და ხალხის მდგომარეობის არსებითად გამაუმჯობესებელ მიზნების მისაღწევად, ანუ დროზე იერიში და დროზე თავის შეკავება — აი ნამდვილი რევოლუციონერობა, შეზავებული გრძნობით და გონებით, უდიდესი თავდადებით და უდიდესი პოლიტიკური გამჭრიახობით. და ისპანიის რევოლუციაში დღემდე ამისი საკმაო ელემენტები სჩანს...

—

დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევის გაჭიანურება რუსეთს საბედისწეროდ გადაექცა, აქ უკვე განხორციელებული ფაქტია და ყოველი საკითხის მოგვარება ამით გაადვილებულია.

აგრარულ საკითხში ახლა მუშავდება კანონ-პროექტი და ჩვენ მის გამოქვეყნებამდე ვერას ვიტყვით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მას, გაზეთების გადმოცემით, საფუძვლად უძევს მსხვილ მიწათ-მფლობელობისათვის მამულის ჩამორთმევა და მიწის მომუშავეებზე გადაცემა. ჩამოერთმევათ განსაზღვრული ნორმის ზევით (200 ჰექტარი) და დაისმება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხი ჩამორთმეულის ანაზღაურების.

კატალანიის ერს, რომელსაც კოლონელი (ოფიცერი) მასია მეთაურობს, ეძლევა დაკმაყოფილება ფედერატიული ურთიერთობის ფარგლებში, რაც ორივე მხარისათვის მისაღებად ითვლება.

დარჩა მეორე საკითხი — მუშების. მისი სრული და საბოლოო გადაჭრა მხოლოდ სოციალიზმით შეიძლება, რაც ამ ჟამად ისპანიისათვის განუხორციელებელია. სწორედ ამაშია პრობლემის სიძნელეც. მუშათა კლასში, მისწრაფება თავისი კლასიური ტენდენციების ლოგიკურ დასკვნამდე მიყვანისა, დიდია. რუსეთში ეს სცადეს ბოლშევიკებმა და ნაგრეევები მიიღეს, შიმშილი და მონობა გაამეფეს. ისპანიაში ამას ელტვიან ანარქისტები, რომელთაც საკმაო გავლენა აქვთ მუშებში ჯერ კიდევ პირველი ინტერნაციონალის ე. ი. გასული საუკუნის მესამოცე წლებიდან დაწყებული. მათი უკანასკნელი გამოსვლები — გაფიცვების მოწყობა ბარსელონასა და სევილში (ტელეფონის გაფიცვა), შეიარაღებული შეტაკებანი წესრიგის დამცველებთან, უარყოფა საერთოდ კანონის და ხელისუფლების, ყოველივე ეს მუშათა კლასის დანაწილების და მაშასადამე, დასუსტების საშიშროებას ქმნის. ეს კლასი კი მთავარი დასაყრდენია რევოლუციის.

შრომის მინისტრმა წინადადება შეიტანა შრომის კონფლიქტების სავალდებულო არბიტრაჟით გადაჭრის შესახებ, რაც შეამცირებს გაფიცვების საჭიროებას და ანარქიულ გამოსვლებს გამოაცლის საფუძველს, რომელზედაც იგინი ეყრდნობიან სისხლიან გამოსვლების მოსაწყობად. ანარქისტების მეთოდმა ერთხელ უკვე დაღუპა ისპანეთის რევოლუცია, რაც თავის დროზე ენგელსმა დააზასიათა თავის წერილში, და ახლაც ამავე ისტორიის განმეორების ცდას აქვს ადგილი. ანარქისტული გამოსვლები, უმთავრესად, აგრარულ კუთხეებში ხდება, რაც მოწმობს, რომ იგი უფრო ჩამორჩენილ წრეებში-ღა ხარობს და შეიძლება რეაქციონერ მსხვილ მესაკუთრეთა ხელიც ფათურებს მათ რიგებში. ანარქიაში რევოლუციის ჩახრჩობა საბოლოოდ მხოლოდ მემამულეთა რეაქციას გამოადგება და რეაქციონერებს ხომ საშუალების მორიდება არ უწერიათ...

გაუძლებს ყველა ამ სიძნელეს ისპანიის რევოლუცია? ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კი. ვნახავთ და მკითხველებსაც ვანახვებთ.

მეორე დიდი მოვლენა — მსოფლიო ეკონომიკის კრიზისია; მისი დამახასიათებელი თვისება ისაა, რითაც იგი განირჩევა ძველი კრიზისებისაგან. წინად კრიზისი იწყებოდა საწარმოო იარაღის წარმოებიდან და გადადიოდა მომხმარებელ წარმოებაზე — სოფლის მეურნეობაზე. დღეს იგი დაიწყო უკანასკნელიდან. მიწათ-მოქმედებაში მანქანების შეტანამ, რაციონალურმა დამუშავებამ, განოყიერებამ და სხვა, მიწას უდიდესი დოვლათი გამოაღებინა. ქვეყანა აივსო პურ-ღვინით. მაგრამ კაპიტალისტურმა მისაკუთრებამ და მოგების მადამ იგი ქვეყნის უბედურებად და შიმშილად აქცია.

კარგმა მოსავალმა ერთიანად დააზიანა პატრონიც და მუშაც. პირველს გაყიდვა გაუძნელდა — მაშასადამე ჩადებული ფულის ამოღება, მეორეს სამუშაო გამოეცალა, მაშასადამე პურის ყიდვის უნარიც დაეკარგა. დადგა პურიან ქვეყანაში უპურობა, შიმშილი დოვლათისაგან. სოფლის წარმოების მარაზმი გადაედვა სოფლის საწარმოო იარაღთა წარმოებას და მთელ ინდუსტრიას; გაჩაღდა საყოველთაო კრიზისი. კარტელები, ტრესტები, რაციონალიზაცია, ტეილორის სისტემა, მაღალი ხელფასი და მეტი ენერგიის გამოწურვა მუშებისაგან, ყოველივე ის, რითაც ასე ამაყობდა კაპიტალიზმი, განსაკუთრებით ამერიკის,ერთი ხელის მოსმით განაცარმტვერდა.

კაპიტალისტური ურთიერთობის ფარგალში ყოველი გეგმიანობა და განწესრიგება ამაო ოცნებად გადაიქცა. კაპიტალიზმის თანდაყოლილმა ძირითადმა სენმა — ანარქიამ — თავისი გაიტანა. საქონელით დატვირთულ ქვეყანაში ათეული მილიონი მუშა შიმშილს განიცდის. და რაც მთავარია, უფრო წინ წასულ ქვეყნებს უბედურებაც მეტი ეწვია. ამერიკა — ინგლისი — გერმანია — ყველაზე ადრე და მეტად დაზარალდენ.

მეორე განსხვავება ამ კრიზისის ისაა, რომ მან ფართედ გაშალა ფრთები და მთელ მსოფლიოს ერთბაშად მოედვა. წინეთ იგი შემოფარგლული იყო ისე, როგორც თვით კაპიტალიზმის სამეფო.

მესამე — მას გამოსავალი არ უჩანს. წინად კრიზისები წვრილი წარმოების დანგრევით და მსხვილის გაბატონებით თავდებოდა. დღეს კი, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიაში, უმსხვილეს ტრესტების ნაწარმოები — ცალკე აღებულიც კი— დიდათ აღემატება ბაზრის სყიდვითი უნარს და შეძლებას. წინად, ამასთანავე გამოსავალი იყო ახალი ბაზრების მოპოვება — კოლონიების დაპყრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და საერთოდ ეკონომიური გავლენის სფეროს გაფართოებით. დღეს კაპიტალს დედამიწის ყოველი კუნჭული მოვლილი აქვს, ახალი მოსაპოვებელი ალარაფერია და ასე ,არსებული მწვავე კრიზისის გადასაჭრელად ძველი გზები დახშულია. აქედან სიმძიმე და მოსალოდნელი ხანგრძლივობა ამ კრიზისის. მან შიგნით უნდა გამონახოს თავისი წამალი. ეს კი ნიშნავს სოციალიზმის მიმართულებით წასვლას. უნდა მოხდეს სიმდიდრის გადანაწილება შრომის სასარგებლოდ. ე. ი. შრომას თანდათან უფლება დაუბრუნდეს თავის ნაშრომის მითვისების. მაგრამ შესძლებს ის ამას?

გერმანის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ვერა. გერმანია ეკონომიურად კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს და კრიზისმა იგი პირველ რიგში დააზიანა. მაგრამ მას თან აწევს ტვირთად წაგებული ომის ხარჯები და რეპარაციები. აი ამ ორმაგ სიმძიმეს მან ვერ გაუძლო და გაკოტრების წინაშე დაგვაყენა. და აქ გამოჩნდა საკვირველი ამბავი, რომელსაც აქამდე სოციალისტები ქადაგებდენ და რომელიც არავის სჯეროდა: რომ ყველა ქვეყნების ბედი ერთმანეთზე მჭიდროთ გადაბმულია. გერმანის მოსალოდნელ გაკოტრებამ აახმაურა ყველა ქვეყნები და პირველ რიგში ამერიკა. იქაურ ბანკირებს და კაპიტ-ებს ეკარგებოდათ ფულის და საქონლის ერთი უდიდესი ბაზარი. შექმნილმა პანიკამ გამოიწვია პრეზიდენტ ჰუვერის ცნობილი წინადადება — ვალების გადახდის დროებით შეჩერების. თვით გაილო მსხვერპლი, რომ ევროპის სახელმწიფოებისათვის გაეღებინებინა გერმანიის სასარგებლოდ. ეს პრინციპიალურად უკვე მიღწეულია, მაგრამ ტეხნიკურად ჯერაც არ დამთავრებულა. მისი განხორციელების დეტალებზე კიდევ მსჯელობენ ექსპერტების კომისიაში. საქმე კი საშური იყო და გაჭიანურებამ მას თითქმის ფასი და ღირებულება დაუკარგა. გერმანია ისევ უფულობის და უკრედიტობის წინაშე დადგა. ახლა საფრანგეთმა თითქოს გამოიფხიზლა და გერმანიას სესხი შეაძლია თანამშრომლობისა და სოლიდარობის იდეისთვის.

მაგრამ აქაც კაპიტალისტურმა ტენდენციამ მეზობლის დახრჩობისა და ომის შედეგებმა: შოვინიზმმა და სიძულვილმა, სისხლით დათესილმა, თავისი ჰქნა. ძმური წინადადება საფრანგეთის მთავრობამ პოლიტიკურ და ეკონომიურ ჰეგემონიის მოთხოვნას დაუქვემდებარა. სხვანაირად არ შეიძლება გავიგოთ ის პირობები ეკონომიური და პოლიტიკური საწინდარისა, რომელიც ლავალის სამინისტრომ წამოაყენა. გერმანიას უნდა თავისი საბაჟოები რკინის-გზა და სხვა დაეწინდებია საფრანგეთისათვის და ახალი პოლიტიკური გარანტიები მიეცა.სამაგიეროდ 500 მილლ. დოლარს მიიღებდა სესხად, რაც შემდეგ რასაკვირველია სათანადო სარგებლით უნდა გაესტუმრებია.

პარიზის მოლაპარაკება გერმანიის და საფრანგეთის მინისტრების, და შემდეგ ლონდონის კონფერენცია ყველა მევალე სახელმწიფოებთან ერთად, გათავდა პატარა ამბავით. გერმანიას გაუგრძელეს სამი თვით 100 მილიონი მოკლე-ვადიანი კრედიტი, რომლითაც იგი სარგებლობდა და ბანკებს სთხოვეს, თქვენც ნდობა აღუდგინეთ, გამოიძიეთ და საჭიროების მიხედვით კრედიტით დააკმაყოფილეთო. ამაზე იტყვიან: — „აქლემი დააწვინეს და რწყილი აშობინეს“-ო.

ინგლისის მუშათა მთავრობა შეეცადა ამასთან დაკავშირებით დასმულიყო საკითხი საერთოდ კრიზისის და მისი ერთ-ერთი მთავარი წამლის — განიარაღების განხორციელების. მაშინ ბიუჯეტები და მაშასადამე გადასახადები შემცირდებოდა, ხოლო ხალხის ჯიბეში დარჩენილი ფულები მის მყიდველობით ძალას წაემატებოდა. ერთი სიტყვით, მრეწველობას ერთ მუჯლუგუნს წაკრავდა ფეხზე წამოსაყენებლად. მაგრამ კაპიტალისტურმა მეტოქეობამ და ნაციონალისტურმა პოლიტიკამ ყველივე მათი ცდა დღეს-დღეობით მაინც უშედეგოდ დასტოვა. სწორედ ამ დღეებში გამოქვეყნდა ფრანგული მემორანდუმი განიარაღების კონფერენციისათვის, რომელიც არსებულ სამხედრო ძალების შემცირებაზე გადაჭრით უარს ამბობს.

კაპიტალიზმი ხედავს, რომ ცხოვრებამ ყველა ერები ერთი მეორეზე გადააბა, რომ ერთის დამხობა არვის სიკეთეს არ უქადის, მაგრამ გაბოროტებული ადამიანივით გაიძახის: — მომთხარეთ ცალი თვალი, ოღონდ მეზობელს ორივე თვალი დაუვსეთო. ამით მან აღიარა თავისი უძლურება ამ ახალი ამოცანის წინაშე. ცხადია თუ მას გადაჭრა უწერია და განათლებულ კაცობრიობას წინსვლა, ეს მისია ახალმა კლასმა, ე. ი. მუშათა კლასმა უნდა იკისროს. მხოლოდ მას შესწევს ძალა და აქვს უდავო ინტერესი ერთა სოლიდარობის განხორციელების და საყოველთაო ბედნიერებით თავისი ერის ბედნიერების მკვიდრ ნიადაგზე დაყენების.

რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის იმპერია

(მცირე ნარკვევი)

(წერილი პირველი)

პირველად 55 წელს, ქრისტეს დაბადებამდე, რომის იმპერიის ლეგიონები იულიუს კეისარის სარდლობით შეიჭრენ ბრიტანეთის კუნძულზე, სადაც მაშინ კელტები სცხოვრობდენ; შემდეგ წლექში ეს თავდასხმა განმეორდა და ბრიტანეთის კუნძული რომის პროვინციად გადაიქცა.

ხალხთა გადასახლებათა დროს ბრიტანეთის კუნძულზე დასახლდენ ზაქსები, ანგლები, იუტები.

449 წელს იქ დაარსებულ იქნა შვიდი სამეფო. უესექსის მეფე ეგბერტი აერთიანებს ამ ანგლო-საქსურ სამეფოებს და 827 წელში იგი ხდება ინგლისის მეფედ.

იმ ხანად იწყება დანემარკელების თავდასხმა ინგლისზე, რომელიც 1016 წელს ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობით სრულდება. ინგლისელები მალე თავისუფლდებიან მათგან, მაგრამ 1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგი ვილჰელმ დამპყრობელი ინგლისის მეფედ ხდება. 1066 — 1154 წწ. მეფობენ მისი შთამომავალნი; ამ წლიდან ანჟუ-პლანტაგენტის ტახტი, შემდეგ ლანკასტერის, იორეის, ტიუდორის, სტიუარტის, ჰანოვერის და უინდზორის დინასტია.

—

საშუალო საუკუნეებში ევროპა იყო მრავალ ფეოდალურ სახელმწიფოდ დანაწილებული, სადაც თვითეული მხარე თავის ნივთიერ მოთხოვნილებას შინაური ნაწარმოებით იკმაყოფილებდა. ვაჭრობის საგანი იყო იმ დროს არა მასიური პროდუქტი, არამედ ძვირფასეულება, ფუფუნების ანუ ლუქსის საქონელი, რომელსაც იმ ეპოქაში უმთავრესად აზია, განსაკუთრებით ინდოეთი და სპარსეთი, იძლეოდა. ვაჭრობის დაწყებისა და განვითარების პერიოდში, ევროპის ქვეყნები გადაებენ აღმოსავლეთს და მცირე აზიას; ხმელეთის გზებით შემოჰქონდათ ევროპაში სხვადასხვა ფარჩეულობა, შალეულობა, ტკბილეულობა, საკმაზეულობა. აზიასთან სავაჭრო კავშირის გაბმამ გამოიწვია კონსტანტინეპოლისა და იტალიის ქალაქების გაზრდა-გაძლიერება, რადგან ეს ქალაქები, როგორიცაა ვენეტიკი (ვენეცია) პიზა, ფლორენსი, ლუკკა, ამალფი, ევროპის დალალი იყვნენ.

სამხრეთიდან, განსაკუთრებით იტალიიდან, ვაჭრობის გზა მოდიოდა ევროპის ჩრდილოეთისაკენ მდინარე პო-თი, ალპებზე და მდინარე რაინით. ჩრდილოეთიდან ვაჭრობის გზები მიდიოდა ერთი ნოვგოროდისაკენ და აქედან სპარსეთისაკენ, ან მდ. დონაუთი აღმოსავლეთისაკენ, ან მდინარე რაინით და რონეთი სამხრეთით და დასავლეთით. ამ გზათა ქსელის შუა გული იყო ქალაქი ბრუგგე. მე-13 საუკ. დასაწყისიდან ამ უკანასკნელ სავაჭრო გზაზე ბატონობდენ ფრანგული და ფლანდრული ქალაქები, რომელნიც შეკავშირებული იყვნენ ლონდონურ ჰანზას სახელით. (ჰანზა — კავშირი ანუ გილდი ვაჭართა; კონფედერაცია ქალაქთა მე-13 საუკ. რომელსაც მიზნად ჰქონდა ვაჭრობის დაცვა გარეშე საფრთხისაგან).

ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით კი ვაჭრობა გერმანულ ქალაქთა ჰანზას ხელში იყო.

ინგლისი ამ დროს წარმოადგენდა მცირე სამეფოს და ინგლისელთა მონაწილეობა ამ ვაჭრობაში მით განისაზღვრებოდა, რომ ისინი ლონდონის საწყობებში, სადაც სამას წელიწადზე მეტს გერმანელი ვაჭრები იყვნენ გაბატონებული, აღმოსავლეთის საქონელს ყიდულობდენ და კონტინენტისათვის ინგლისურ მატყლს ჰყიდდენ. მაგრამ სამასი წლ. განმავლობაში, მეცამეტე საუკუნედან, ინგლისელებმა ისწავლეს ვაჭრობა და შეეცადენ კიდევაც, საქონელი, რომელიც ახლა უმთავრესად კონტინენტზე მუშავდებოდა, განსაკუთრებით მატყლის საქონელი, თვითვე დაემზადებიათ. იმის მაგვრად, რომ მატყლი უცხოეთში გაეყიდათ, თვით დაიწყეს უკვე სამოსის კეთება და იმას მაღწიეს, რომ პირველად 1444 წ. თავისი საკუთარი მატყლით დამზადებული უხეში საქონელი ანტვერპენში შეზიდეს და ქალაქ ბრიუგეს მეტოქეობა გაუწიეს..

ვიკ. ნოზაძე

(გაგრძელება იქნება)

—

დაისტამბა და იყიდება
ბ-ნ **ზ. ავალიშვილის**
შრომა

ვეფხის ტყაოსანი-ს საკითხები

ა. შვიდ მნათობთა ლექსი
ბ. შოთა მანიჭეველი
გ. გველი და მთვარე
დ. მიჯნურობისათვის

ფასი 15 ფრანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ამბები

მუშის კერძო წერილიდან

„რამდენიმე დღეა ქალაქიდან ჩამოვედი სოფლად. აქ ძალიან ძნელი პირობებია საცხოვრებლად. არსებობის წყარო თანდათან შრება და ილევა. ხშირი წვიმებისაგან დიდი წყალდიდობა იყო. ზარალი დიდია, თუმცა ჩვენ ყოველთვის ზარალში ვართ. ლეჟერმა (წყალდიდობამ. რედ.) ნადირი გამოყარა ტყიდან და დაძრწიან სოფლად. ეძებენ საკბილოს, მაგრამ ჩვენს სოფელში საკბილო ძნელი საშოვნელია. ამ მხრივ არაბების ბატონობის ხანას ჰგავს აქაურობა.

თ. ვ. უზბეკისტანიდან სწერდა თავისიანებს: — პოლიტიკურმა ბრძოლამ სამშობლო დამატოვებინა და ჩემიანებიც დამაკარგვინა-ო. ამ სტრიქონების წაკითხვაზე ჭოლას მოთხრობიდან ხაჭაპურიძე გამახსენდა, და გულიანად გამეცინა. სადაური პოლიტიკური მებრძოლი იყო ეს ქალბატონი. როგორც ერთმა ნაცნობმა მითხრა, იგი ბოლ—ებს (ბოლშევიკებს. რედ.) ჩე—ად (ჩეკისტად. რედ.) ყავდათ პარტიაში, მარა როცა ოპოზიციონერობა დაიწყო, აზიაში უკრეს თავი. ამისთანა ხალხს ახია რაც მოუვათ.

როგორც ყოველთვის ზაფხულობით, ეხლაც სურსათის ნაკლებობაა. ფუთი სიმინდი 25 მანეთი ღირს... მოიწერე წერილი... ჩვენ ყველანი ერთნაირად ვართ“.

ბაზეთებიდან

ბარბაროსობის უსაზღვროება

უნივერსიტეტის დაშლის , მისი ინსტიტუტებად და ნაწილების და პროფესორ-ხელმძღვანელთა ნელი „წმენდის“ შემდეგ, ეხლახან ერთბაშად მოხდენილი ახალი „გაწმენდით“ ბოლშევიკებმა დაასრულეს ჩვენი ეროვნული კულტურის ცენტრის განადგურება.

გაზ. „კომუნისტი-“ში (№ 129. ივნისის 6, 1931) მოთავსებული განკარგულება, რომელიც აქვე მოგვყავს, თავისთავად ყოველივეს მთქმელია: —

დადგენილება

განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიის

1931 წ. 28 მაისი

მოხსნილ იქნან თანამდებობიდან ინსტიტუტებში, როგორც აშკარა მემარჯვენე და სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმისათვის შეუფერებელი — შემდეგი პროფესორები და მასწავლებლები:

1. პროფ. **გრიგოლ ფილიმონისძე წერეთელი.**
2. „ **ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი.**
3. „ **მიხეილ ალექსის ძე პოლიევქტოვი.**
4. დოც. **გიორგი სამსონისძე გამყრელიძე.**
5. პროფ. **ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი.**
6. „ **ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი.**
7. „ **გიორგი ნიკოლოზის ძე გეხტმანი.**
8. დოც. **ნიკიფორე იმნაიშვილი.**
9. „ **სოფრომ მიხელიძე**
10. „ **ვიქტორ თევზაია.**

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე

შ. გეგენავა.

ამავეს ღაღადებს მეორე დოკუმენტი („კომუნისტი“ № 131, ივნისის 9, 1931) მწერალთა კავშირის „წმენდის“ შესახებ: —

„ფედერაციის სამდივნოს მიერ გამოყოფილი იყო წმენდის ჩამტარებელი კომისია, რომელმაც დაამუშავა მასალები გამოსარიცხავი მწერლების შესახებ და გამოსარიცხვი მწერლების სია პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას წარუდგინა დასამტკიცებლად.

გამორიცხვას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულება:

ა) გამოირიცხოს აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი, რომელმაც თავისი იდეოლოგია ამ ათი წლის განმავლობაში გამოხატა აშკარა მხატვრულ, მეცნიერულ და კრიტიკულ ნაწარმოებებში, ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლებით.

ბ) გამოირიცხოს აგრეთვე ორგანიზაციის პასიური წევრები, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ლიტერატურაში არ მუშაობენ, არც მწერალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდათ პატივცემულ პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილს, მისი მეუღლის

ქ-ნ ნინო თაყაიშვილის

გარდაცვალების გამო, გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს და მის ღრმა მწუხარებას იზიარებს „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია.

ფედერაციის საზოგადოებრივ საქმიანობაში ღებულობენ მონაწილეობას, მწერალთა ფედერაციის წევრებად კი ითვლებიან.

გ. გამოირიცხოს მწერალთა ფედერაციის შემადგენლობიდან მექანიკურად ჩარიცხული მწერლები. რომლებიც არასოდეს მწერ-აში (?) ირიცხებიან და მწერალთა ფედერაციის რიგებში არ მოღვაწეობენ.

ამ სამი დებულების მიხედვით მოხდა მწერალთ[illegible] წმენდა, პირველი კატეგორიით გამორიცხული არიან შემდეგი მწერლები: **პავლე ინგოროყვა, კონსტ[illegible] გამსახურდია, შარაშიძე შალვა (თაგუნა), იოსებ[illegible] იმედაშვილი.**

პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშ[illegible]კარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი, რო[illegible]მელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის **„კავ[illegible]კასიონის“** რედაქტორობის დროს ნათლად გამოამ[illegible]ჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე. ამავე რეაქციონური ხაზით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეს საქმიანობა მან გამოაშკარავა მწერალთა ყრილობებსა და კრებებზე გამოსვლებშიც, თავისი ანტისაბჭოთა დეკლარაციებით. პავლე ინგოროყვა იყო ქართული მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქართ. წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საჭბოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს.

კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი — შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი. რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრულ პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდლობისათვის მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს.

შალვა შარაშიძე (თაგუნა) **„ეშმაკის მათრახის“** ერთ-ერთი რედაქტორთაგანი, მენშევიზმის რომანტიზმით გაჟღენთილი მწერალი, მენშევიკების აზრების აგიტატორი. თავის ბოლონდელ ნაწარმოებებში ილაშქრებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იოსებ იმედაშვილი — რეაქციონერი მწერალი, რომელიც გამუდმებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას, უკიდურესი შოვინისტი.

მეორე კატეგორიაში მოჰყვენ მწერალთა ფედ[illegible]ერაციის პასიური წევრები, რომლებიც რამოდენიმე წლის განმავლობაში არაფერს სწერენ და ითვლებიან ორგანიზაციაში მკვდარ სულებად: **ხარიტონ ვარდოშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ბიძინა აბულაძე, ცვარ-ნამი, რიოდიონ სონღლი, სიო ჭანტურიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, სიკო დოლიძე, ლელი ჯაფარიძე, ირაკლი ტატიშვილი, დავით ნახუცრიშვილი, სიმონ ქვარიანი, თედორე კიკვაძე, ივანე ელიაშვილი, კოკი აბაშიძე, ნ, კეცხოველი.**

მესამე კატეგორიით გამორიცხულია მწერალთა ფედერაციიდან მექანიკურად მოყოლილი ელემენტები, რომლებსაც მწერლობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ : **მიხ. საყვარელიძე, სიმონ ჯანაშია, მიხეილ აბრამიშვილი.**

შემოწირულება:

„ახალდაზრდა სოც. დემ.“ სასარგებლოდ მივიღეთ შემდეგი ამხანაგებისაგან: —

ვალ. ჯაველიძე — 20 ფრანკი; ისიდორე ქარსელაძე — 20; ტარიელ ჟღენტი — 30; ნიკოლოზ ბოკუჩავა — 25; ელენე ფერაძე — 25; ვ. ბარნოვი — 15; სიმონ კეკელიძე — 30; გერონტი სურგულაძე — 25; პორფილე მეხუზლა — 20; რუბენ აუშტროვი — 10; გერასიმე ბოლქვაძე — 20; ვასილ ბარკალაია — 10; ვ. კირტავა — 10; აკაკი ვადაჭკორია — 20; ერასტო მაჭავარიანი — 20; ვასილ თოთიბაძე — 25; დ. ჟორჟოლიანი — 25; შ. სკამკოჩაიშვილი — 20; აკაკი შავგულიძე — 25; ვ. ახვლედიანი — 15; მ. მგელაძე — 20; ამხ. ჩაჩუა — 25; — **სულ — 455 ფრ.**

რედაქცია გულითად მადლობას უცხადებს ამხანაგებს.

მისამართი: —

Mr Papava. 15,Chemin du Reposoir. Paris-14

Imp. *BASILE*, 1, villa Chauvelot, Paris — 15e